ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 526

7 ოქტომბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. №86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ. №01.16.05.002.035) 10 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლიანა ინჯიასთვის (ს/ნ. 01011004828) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დავით აღმაშენებლის გამზირი №86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.002.035) 10 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლიანა ინჯიასთვის (ს/ნ. 01011004828) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 სექტემბრის №22.1380.1487 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დავით აღმაშენებლის გამზირი №86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.16.05.002.035) 10 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ლიანა ინჯიასთვის (საიდენტიფიკაციო №01011004828) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე